

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება

შესავალი:

1. დასაბეგრი პირის რეგისტრაციასთან და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული დებულებები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-165¹ მუხლებით, ასევე რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი და განაცხადის ფორმები განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის XII თავში.

ნაწილი 01. სავალდებულო რეგისტრაციის 100'000 ლარიანი ზღვარის გადაჭარბების შემთხვევა

1. მაგალითი 1.

პირობა:

საქართველოში 2020 წლის პირველ აპრილს დაფუძნებული დასაბეგრი პირის (საწარმოს) საქმიანობას წარმოადგენს პარფიუმერული საქონლით საბითუმო ვაჭრობა.

სავაჭრო ობიექტიდან 2020 წლის 7 აპრილს განახორციელა 10'000 ლარის ღირებულების საქონლის რეალიზაცია, ხოლო შემდგომ 2021 წლის თებერვლის ბოლომდე კი მოახდინა 65'000 ლარის, საქონლის მიწოდება, 2021 წლის 14 მარტს საწარმომ მიაწოდა 16'000 ლარის საქონელი, ხოლო 25 მარტს კი ერთი ოპერაციის ფარგლებში - 10'000 ლარის საქონელი. მარტის თვეში საწარმოს სხვა ოპერაცია არ განუხორციელებია.

შეფასება:

დასაბეგრი პირი ვალდებულია არაუგვიანეს 2021 წლის 29 მარტისა მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, ვინაიდან 25 მარტის ოპერაციით პირი აჭარბებს 100'000 ლარიან ზღვარს, უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე (წინა 11 სრული თვე და მე-12 თვე არასრული, მოცემულ მაგალითში 2020 წლის პირველი აპრილიდან 2021 წლის 25 მარტის ჩათვლით). აღნიშნულ შემთხვევაში მარტის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი თანხა შეადგენს 8'474.57 (10'000*100/118) ლარს.

2. მაგალითი 2. (დღგ-ის რეგისტრაციის ვალდებულება ვაუჩერების შემთხვევაში)

პირობა:

საქართველოში 2021 წლის 7 აპრილს დაფუძნებული დასაბეგრი პირის (საწარმოს), საქმიანობას წარმოადგენს პარფიუმერული საქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. 2021 წლის 7 აპრილიდან - 2021 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით საწარმოს მიერ

განხორციელებულმა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამურმა თანხამ შეადგინა 98'000 ლარი. საწარმომ გამოუშვა ერთჯერადი ვაუჩერები ჯამში 5'000 ლარის ღირებულების, რომელიც შეისყიდა ასევე საქართველოში დაფუძნებულმა დასაბეგრმა პირმა 2021 წლის 30 დეკემბერს სახალწლოდ თანამშრომლების წახალისების მიზნით.

შეფასება:

ვინაიდან სსკ-ის 160³ პირველი ნაწილის თანახმად საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის მიერ ერთჯერადი ვაუჩერის სხვა პირისთვის გადაცემა განიხილება დამოუკიდებელ დასაბეგრ ოპერაციად, ვაუჩერების სანაცვლო ანაზღაურების თანხა გაითვალისწინება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის 100'000 ლარიანი ზღვარის განსაზღვრისას, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამი 30 დეკემბრის მდგომარეობით გადააჭარბებს 100'000 ლარს (98'000 + 5'000), იგი ვალდებულია, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს 2022 წლის 3 იანვრისა.

3. მაგალითი 3. (დღგ-ის რეგისტრაციის ვალდებულება ვაუჩერების შემთხვევაში)

პირობა:

საქართველოში დაფუძნებული A დასაბეგრი პირი (საწარმო) ახორციელებს მრავალჯერადი 100 ლარიანი ვაუჩერების გამოცემას და ამ ვაუჩერთან დაკავშირებულ საქონლის/მომსახურების მიწოდებას. საქართველოში დაფუძნებული B დასაბეგრი პირი (საწარმო) (დაფუძნებულია 2021 წლის იანვრის თვეში) ყიდის A საწარმოს მიერ გამოცემულ მრავალჯერადი გამოყენების ვაუჩერებს საბოლოო მომხმარებელზე. მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, B საწარმო A საწარმოსგან სადისტრიბუციო მომსახურების სანაცვლოდ იღებს საკომისიოს - ვაუჩერების ღირებულების 10 % -ს. B საწარმოს დაფუძნებიდან 2021 წლის 22 აგვისტომდე გაყიდული აქვს 9'999 ვაუჩერი. ამასთან, საწარმომ 2021 წლის 22 აგვისტოს მიაწოდა საბოლოო მომხმარებელს 2 ვაუჩერი.

შეფასება:

ვინაიდან მრავალჯერადი ვაუჩერის გადაცემას ახორციელებს B საწარმო, რომელიც არ არის მრავალჯერადი ვაუჩერის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი მიმწოდებელი (ფაქტობრივი მიმწოდებელს წარმოადგენს A საწარმო), აღნიშნული პირისათვის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად განიხილება მის მიერ გაწეული სადისტრიბუციო მომსახურება, რომლის საკომპენსაციო თანხა მოცემულ შემთხვევაში, შეადგენს რეალიზებული ვაუჩერების ღირებულების 10 %-ს.

იმის გათვალისწინებით რომ B საწარმოს მიერ 2021 წლის 22 აგვისტომდე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა შეადგენს 99'990(9'999*100)10%) ლარს, ხოლო 22 აგვისტოს განხორციელებული ოპერაციით, იგი გადააჭარბებს დღგ-ით სავალდებულო რეგისტრაციისთვის დადგენილ 100'000 ლარიანი ზღვარს, მან საგადასახადო ორგანოს უნდა მომართოს დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით არაუგვიანეს 2021 წლის 24 აგვისტოს.

4. მაგალითი 4. (ავანსად ჩარიცხული თანხები)

პირობა:

საქართველოში 2020 წლის დეკემბრის თვეში დაფუძნებული დასაბეგრი პირის (საწარმო) საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის დაწმინდაება. საწარმო არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. 2021 წლის 30 იანვარს საწარმომ მიიღო პირველი

დაკვეთა ოფისისთვის განკუთვნილი ავეჯის დამზადებაზე, ამასთან მიიღო ავანსის თანხა 110'000 ლარი. პირებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ავეჯის მიწოდება და სრულად ანაზღაურება უნდა მოხდეს 2021 წლის 23 მარტს.

შეფასება:

სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაცია დასაბეგრ პირს უწევს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციების ჯამური თანხის 100'000 ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში.

ვინაიდან, თანხის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე (ავანსი) წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის დროს და არა განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციებს, მოცემულ შემთხვევაში მიუხედევად იმისა რომ ანაზღაურებული თანხა 110'000 ლარს შეადგენს, პირს ამ თანხის მიღებით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშვება.

5. მაგალითი 5. (ავანსად ჩარიცხული თანხები)

პირობა:

საქართველოში 2020 წლის დეკემბრის თვეში დაფუძნებული დასაბეგრი პირის (საწარმო) საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის დამზადება. საწარმო არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. 2021 წლის 30 იანვარს საწარმომ მიიღო პირველი დაკვეთა 135'000 ლარის ღირებულების ოფისისთვის განკუთვნილი ავეჯის დამზადებაზე, კერძოდ:

- მაგიდების დამზადება - 55'000 ლარი;
- კარადების დამზადება - 80'000 ლარი.

ამასთან იმავე თარიღში მიიღო ავანსის თანხა 110'000 ლარი, ხოლო 2021 წლის 23 მარტს მოხდა დარჩენილი თანხის 25'000 ლარის ანაზღაურება და მხოლოდ მაგიდების მიწოდება, ხოლო კარადების მიწოდება განხორციელდა 2021 წლის 23 აპრილს.

შეფასება:

სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაცია დასაბეგრ პირს უწევს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციების ჯამური თანხის 100'000 ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში.

ვინაიდან, თანხის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე (ავანსი) წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის დროს და არა განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციებს, მოცემულ შემთხვევაში მიუხედევად იმისა რომ ანაზღაურებული თანხა 110'000 ლარს შეადგენს, პირს ამ თანხის მიღებით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშვება.

ასევე მიუხედევად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ავეჯი დამზადდა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის ჯამური ღირებულება აჭარბებდა 100'000 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდება, საწარმოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშობა კარადების მიწოდების ოპერაციაზე. შესაბამისად საწარმო ვალდებულია, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს 2021 წლის 27 აპრილისა (არასამუშაო დღეების გათვალისწინებით).

6. მაგალითი 6. (სავალდებულო რეგისტრაციის ზღვარის განსაზღვრა)

პირობა:

საქართველოში 2020 წლის დეკემბერში დაფუძნებული დასაბეგრი პირი (საწარმო) 2021 წლის იანვრიდან წარმოადგენს სესხის გამცემ სუბიექტს (ან სხვა გარემოებებით დგინდება, რომ მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სესხების გაცემა). საწარმო არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საწარმოს მიერ მიღებულმა შემოსავალმა, მის მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის სახით შეადგინა 90'000 ლარი. ამასთან, 2021 წლის აგვისტოს თვეში საწარმომ იჯარით გასცა ქონება, რომლის ასანაზღაურებელი თანხა 15'000 ლარია.

შეფასება:

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 171-ე მუხლის შესაბამისად ფინანსური ოპერაციები გათავისუფლებულია დღგ-ისგან, იგი გაითვალისწინება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის 100'000 ლარიანი ზღვარის განსაზღვრისას, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა პირის ძირითადი საქმიანობაა.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამმა 31 აგვისტოს მდგომარეობით გადააჭარბა 100'000 ლარს (90'000 + 15'000), სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, იგი ვალდებულია:

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს 2021 წლის 2 სექტემბრისა;
- არაუგვიანეს 2021 წლის 15 სექტემბრისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს აგვისტოს თვის დღგ-ის დეკლარაცია და 15'000 ლარი დაბეგროს დღგ-ით (დარიცხული დღგ - 2'288 ლარი).

7. მაგალითი 7.**პირობა:**

სამედიცინო მომსახურების პროფილის საქართველოში დაფუძნებულმა საწარმომ დაიწყო საკუთარი ძალებით ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. 2021 წლის 24 ნოემბერს საწარმომ დაასრულა აღნიშნული მშენებლობა, აღრიცხა ძირითად საშუალებად და დაიწყო გამოყენება. აღნიშნული შენობის წარმოების ფასი აჭარბებს 100'000 ლარს.

- **ვარიანტი I.** 2020 წლის პერიოდში საწარმოს ოპერაციების თანხა, რომელზეც არ ჰქონდა დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის 20%-ზე ნაკლები იყო;
- **ვარიანტი II.** 2020 წლის პერიოდში საწარმოს ოპერაციების თანხა, რომელზეც არ ჰქონდა დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის 20%-ზე მეტი იყო.

შეფასება:

სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით, დასაბეგრი პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად განიხილება საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, თუ იგი სრულად ვერ მიიღებდა დღგ-ის ჩათვლას ამ შენობის/ნაგებობის სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

მეორე ვარიანტის მიხედვით საწარმოს სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის თანახმად წარმოეშვება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია შესაბამისად, ვინაიდან დასაბეგრი ოპერაციის თანხა აჭარბებს რეგისტრაციისთვის დადგენილ ზღვარს (100'000 ლარს), საწარმომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით საგადასახადო ორგანოს უნდა მიმართოს არაუგვიანეს 26 ნოემბრისა.

ვინაიდან დღგ-ით დასაბეგრმა თანხამ ერთი ოპერაციის ფარგლებში გადააჭარბა 100'000 ლარიან ზღვარს, აღნიშნული მთლიანად ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

8. მაგალითი 8. (100'000 ლარიანი ბრუნვის განსაზღვრა)

პირობა:

დასაბეგრი პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს 2020 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე განხორციელებულმა დღგ-ით დასაბეგრმა ბრუნვამ შეადგინა 145'000 ლარი, მათ შორის:

- 2020 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 105'000 ლარი, ხოლო
- 2021 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე 40'000 ლარი.

აღნიშნული ბრუნვა მთლიანად წარმოადგენს ფინანსური მომსახურებიდან მიღებულ ანაზღაურების თანხას.

შეფასება:

სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დასაბეგრი პირი, ვალდებულია, მის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციების ჯამური თანხის 100'000 ლარზე გადაჭარბების დღიდან, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით, მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას, ასევე გაითვალისწინება ფინანსური ოპერაციები, თუ მისი განხორციელება დასაბეგრი პირის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე დასაბეგრი პირი 2021 წლის 1 იანვრიდან (როდესაც ძალაში შევიდა აღნიშნული ნორმები) ვალდებულია ნებისმიერი, მათ შორის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინოს, ასევე მის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების ბრუნვები, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მის ძირითად საქმიანობას.

მოცემულ შემთხვევაში 2021 წლის 1 იანვრიდან ფინანსური ინსტიტუტს წარმოეშვება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და არაუგვიანეს 20 იანვრისა (უქმე დღეების გათვალისწინებით) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით, მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

9. მაგალითი 9. (უცხოელი დასაბეგრი პირის რეგისტრაციის ვალდებულება)

პირობა:

დასაბეგრი პირი, რომლის დაფუძნების ადგილი არ არის საქართველო, საქართველოში ფლობს უძრავ ქონებას.

ვარიანტი I: მას საქართველოში გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომლითაც მართავს აღნიშნულ უძრავ ქონებას (მათ შორის გაცემს იჯარით ან ქირით);

ვარიანტი II: მას საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება და აღნიშნული უძრავი ქონება იჯარით გაცემული აქვს საქართველოში დაფუძნებულ ან/და მცხოვრებ დასაბეგრი პირებზე;

ვარიანტი III: მას საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება და აღნიშნული უძრავი ქონება, რომელიც საცხოვრებელი დანიშნულებისაა, გაქირავებული აქვს არადასაბეგრი პირებზე;

შეფასება:

პირველ ვარიანტში დასაბეგრი პირი ვალდებულია საქართველოში დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი დაბეგროს დღგ-ით მიუხედავად 100'000 ლარიანი ზღვარისა;

მეორე ვარიანტში უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ საქართველოში გაწეული მომსახურება იბეგრება უკუდაბეგვრის წესით შესაბამისად მას არ წარმოეშვება აღნიშნული მომსახურების ნაწილში საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;

მესამე ვარიანტში უცხოელ დასაბეგრი პირს წარმოეშვება საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ზღვარის გადაჭარბების შემთხვევაში.

ნაწილი 02. აქციზური საქონლის წარმოების შემთხვევა

10. მაგალითი 1. (აქციზური საქონლის წარმოება)

პირობა:

საქართველოში დაფუძნებული დასაბეგრი პირი (საწარმო), რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, აწარმოებს აქციზურ საქონელს (ლიქიორი),

რომელსაც იყენებს შოკოლადის საწარმოებლად. 2021 წლის 5 ივნისს საწარმომ 10'000 ლარის ღირებულების აქციზური საქონელი (ლიქიორი) გადასცა შოკოლადის მწარმოებელ საამქროს. 2021 წლის 25 აგვისტოს საწარმომ განახორციელა 15'000 ლარის ღირებულების შოკოლადის მიწოდება. მიწოდების მომენტისთვის, საწარმოს მიერ განხორციელებული 12 თვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა არ აჭარბებს 100'000 ლარს.

შეფასება:

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო წარმოადგენს აქციზური საქონლის მწარმოებელს, მას სსკ-ის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშობა, ვინაიდან მის მიერ წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდებას არ აქვს ადგილი (ადგილი აქვს, მხოლოდ მის მიერვე არააქციზური საქონლის (შოკოლადი) საწარმოებლად გამოყენებას).

11. მაგალითი 2. (აქციზური საქონლის წარმოება)

პირობა:

საქართველოში დაფუძნებულმა A საწარმომ, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, 2021 წლის თებერვლის თვეში აწარმოა აქციზური საქონელი - ღვინის სპირტი, რომელიც გადასცა დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულ B საწარმოს აქციზური საქონლის - ბრენდის (კონიაკის) საწარმოებლად. B საწარმომ მის მიერ დამზადებული აქციზური საქონელი ბრენდი გადასცა (დაუბრუნა) A საწარმოს (დამკვეთს) 2021 წლის 10 სექტემბერს.

შეფასება:

მიუხედავად იმისა, რომ A და B საწარმოებმა განახორციელეს აქციზური საქონლის წარმოება და ამ საქონლის აქციზური საქონლის სხვა პირისათვის გადაცემა, მათ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება საქონლის გადაცემისას (საწარმოებლად გადაცემა, უკან დაბრუნება) არ წარმოეშობა.

ნაწილი 03. რეორგანიზაციის შემთხვევა

12. მაგალითი 1. (რეორგანიზაცია)

პირობა:

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული შპს X-ის რეორგანიზაცია დასრულდა 2021 წლის 5 თებერვალს, რის შედეგადაც, აღნიშნული პირი გაიყო ორ საწარმოდ: შპს Y-ად და შპს Z-ად.

შპს Y-მა 2021 წლის 8 თებერვალს განხორციელა 25'000 ლარის ღირებულების საკონდიტრო ნაწარმის მიწოდება. ხოლო შპს Z-ს ამავე საანგარიშო თვეში სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

შეფასება:

შპს Y ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოს განცხადებით მიმართოს რეორგანიზაციის დასრულებიდან პირველივე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე. შესაბამისად, შპს Y ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით არაუგვიანეს 8 თებერვლისა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შპს Z-ს არანაირი დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები არ განუხორციელებია, იგი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოს განცხადებით მიმართოს რეორგანიზაციის დასრულებიდან 10 დღეში, არაუგვიანეს 2021 წლის 15 თებერვლისა.

13. მაგალითი 2. (რეორგანიზაცია)

პირობა:

2020 წლის 1 თებერვალს რეგისტრირებული ორი საწარმოს - შპს Y-ის და შპს Z-ის შერწყმის შედეგად, 2021 წლის 15 იანვარს შეიქმნა შპს X. არც ერთი საწარმო არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს.

შერწყმამდე, შპს Y-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა შეადგენს 25'000 ლარს, ხოლო შპს Z-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა - 65'000 ლარს.

2021 წლის 20 იანვარს რეორგანიზაციის შედეგად შექმნილმა შპს X-მა გასწია 30'000 ლარის ღირებულების მომსახურება .

შეფასება:

ვინაიდან რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ პირთან მიმართებით სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინება რეორგანიზაციის მხარეების დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, შპს Y-ის და შპს Z-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხები მხედველობაში მიიღება შპს X-ის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის პირობების დადგენისას.

ამდენად, 2021 წლის 20 იანვარს შპს X -ის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა გადააჭარბებს 100'000 (25'000+65'000+30'000) ლარს, შესაბამისად მას წარმოეშვება დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება და დღგ-ის

გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოს განცხადებით უნდა მიმართოს არაუგვიანეს 2021 წლის 22 იანვრისა და დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება 20 იანვარს (30'000 ლარი) და მის შემდგომ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები.

14. მაგალითი 3. (რეორგანიზაცია)

პირობა:

2020 წლის 1 თებერვალს რეგისტრირებული ორი საწარმოს - შპს Y-ის და შპს Z-ის შერწყმის შედეგად, 2021 წლის 15 იანვარს შეიქმნა შპს X. არც ერთი საწარმო არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს.

რეორგანიზაციამდე, შპს Y-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა შეადგენს 60'000 ლარს, ხოლო შპს Z-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა - 70'000 ლარს.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ შპს X -ს 2021 წლის იანვრის თვეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები არ განუხორციელება.

შეფასება:

ვინაიდან შერწყმის შედეგად შექმნილ პირთან მიმართებით სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინება რეორგანიზაციის მხარეების დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, შპს Y-ის და შპს Z-ის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხები მხედველობაში მიიღება შპს X-ის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის პირობების დადგენისას.

ამდენად, ვინაიდან Y-ის და შპს Z-ის დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა გადააჭარბებს 100'000 (60'000+70'000) ლარს, მას წარმოეშვება დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოს განცხადებით უნდა მიმართოს არაუგვიანეს 2021 წლის 20 იანვრისა. პირს იანვრის საანგარიშო თვის მიხედვით დღგ-ში გადახდის ვალდებულება არ წარმოეშვება.

15. მაგალითი 4. (რეორგანიზაცია)

პირობა:

2020 წლის 1 მარტს რეგისტრირებულ შპს Y-ს რეორგანიზაციის შედეგად 2021 წლის 15 იანვარს გამოეყო შპს Z. შპს Y არ წარმოადგენდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. მის მიერ 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 15 იანვარამდე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა შეადგენდა 80'000 ლარს.

2021 წლის 20 იანვარს შპს Z-მა განახორციელა საქონლის მიწოდება, რომლის ღირებულება შეადგენს 30'000 ლარს

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ პირთან შპს Z-თან მიმართებით სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინება შპს Y-ის მიერ (წინა უწყვეტი 11 თვის განმავლობაში განხორციელებული) დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, რომელიც შეადგენს 80'000 ლარს და Z-ის მიერ 2021 წლის 20 იანვარს განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია, რომელიც შეადგენს 30'000 ლარს, მას წარმოემგვება დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება და საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს არაუგვიანეს 22 იანვრისა. დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება შპს Z-ის მიერ 20 იანვარს და შემდგომ განხორციელებული ოპერაციები.

ნაწილი 04. საქონლის/მომსახურების კაპიტალში შეიტანის შემთხვევა

16. მაგალითი 1. (აქტივების კაპიტალში შეიტანა)

პირობა:

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა - შპს X-მა და ფიზიკურმა პირმა, რომელიც არ იყო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი 2021 წლის 5 თებერვალს დააფუძნეს შპს Y. ფიზიკურმა პირმა დააფუძნებისას კაპიტალში შეიტანა 110'000 ლარის ღირებულების საოფისე ფართი, ხოლო შპს X-მა 2021 წლის 15 მარტს შპს Y-ის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 25'000 ლარის ღირებულების საოფისე ავეჯი.

შპს Y-ს 2021 წლის მარტის საანგარიშო თვეში სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

შეფასება:

შპს Y ვალდებულია მის საწესდებო კაპიტალში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (შპს X-ის) მიერ შენატანის განხორციელებიდან 10 დღის ვადაში (არაუგვიანეს 2021 წლის 25 მარტისა) მიმართოს საგადასახადო ორგანოს განცხადებით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე.

ნაწილი 05. ფიქსირებული დაწესებულების შემთხვევა

17. მაგალითი 1. (ფიქსირებული დაწესებულება)

პირობა:

უცხოური საწარმო აპირებს მანქანა-დანადგარებით ვაჭრობას ფიქსირებული დაწესებულების მეშვეობით.

2021 წლის 1 ივნისს საწარმომ პირველად განახორციელა მის მიერ საქართველოში შეძენილი მანქანა-დანადგარის მიწოდება, რომლის ღირებულებაც შეადგენს 55'000 ლარს.

შეფასება:

ფიქსირებული დაწესებულება ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით საგადასახადო ორგანოს მიმართოს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა, მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირებული დაწესებულების მიერ 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა არ აღემატება 100'000 ლარს.

ამასთან, მას დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა 2021 წლის 1 ივნისიდან, ამავე დღეს განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის ჩათვლით.

ნაწილი 06. გარდაცვლილი პირის საქმიანობის გაგრძელების შემთხვევა

18. მაგალითი 1. (გარდაცვლილი პირის საქმიანობის გაგრძელება)

პირობა:

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გარდაცვლილი ინდივიდუალური მეწარმის ი.ვ. საქმიანობას წარმოადგენდა მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების წარმოება, პირი გარდაიცვალა 2020 წლის 3 სექტემბერს, ხოლო 2021 წლის 3 თებერვალს ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მისი საქმიანობა გააგრძელა მისმა შვილმა (სამკვიდროს მმართველი) გ.ვ., რომელმაც 4 თებერვალს განახორციელა საქონლის რეალიზაცია.

შეფასება:

პირი (სამკვიდრო მმართველი) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს 2021 წლის 4 თებერვლისა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინდივიდუალური მეწარმის (გ.ვ.) მიერ 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა არ აღემატება 100'000 ლარს.

ამასთან, მას დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა 2021 წლის 4 თებერვალს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული პირველივე დასაბეგრი ოპერაციიდან.

ნაწილი 07. დღგ-ის გადამხდელად ნებაცხოვლობითი რეგისტრაცია

19. მაგალითი 1. (ნებაცხოვლობითი რეგისტრაცია)

პირობა:

შპს X-მა 2021 წლის 10 იანვარს საგადასახადო ორგანოს მიმართა განცხადებით დღგ-ის გადამხდელად ნებაცხოვლობით რეგისტრაციის თაობაზე. ამავე წლის 25 იანვარს განხორციელა 70'000 ლარის ღირებულების ხოლო 30 იანვარს - 80'000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების მიწოდება.

დღგ-ით დასაბეგრი სხვა ოპერაციები საწარმოს არ ჰქონია.

შეფასება:

იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის დღგ-ის გადამხდელად ნებაცხოვლობით რეგისტრაციის თაობაზე მომართვის დღიდან (2021 წლის 10 იანვრიდან), მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს 2021 წლის 30 იანვარს განხორციელებული ოპერაციიდან დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშობა.

ნაწილი 08. დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმება

20. მაგალითი 1. (რეგისტრაციის გაუქმება)

პირობა:

საქართველოში დაფუძნებულმა დასაბეგრმა პირმა (საწარმომ) 2021 წლის 22 მაისს საგადასახადო ორგანოს მიმართა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. საწარმოს მიერ ბოლო უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების ოპერაციების ჯამური თანხა შეადგენდა 60'000 ლარს. ამასთან, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში საწარმოს ნაშთად დარჩენილ აქვს 120'000 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელზეც სრულად ჰქონდა მიღებული დღგ-ის ჩათვლა.

შეფასება:

სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ექვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად განიხილება, დასაბეგრი პირის დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმება, თუ მას დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში ნაშთად დარჩენილ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი.

შესაბამისად საწარმო ვალდებულია არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისისა დღგ-ის დეკლარაციაში დასაბეგრ ოპერაციად ასახოს ნაშთად რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება 120'000 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში ნაშთად აქვს 120'000 ლარის ღირებულების საქონელი, რომელზეც სრულად მიღებული აქვს ჩათვლა, რაც გაუქმების მომენტში განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად, აღნიშნული არ წარმოადგენს რეგისტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველს და ამასთან, პირს ამით არ წარმოშვება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება. შესაბამისად პირს გაუუქმდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია 1 ივნისიდან.